მაია ინასარიძე
ქართულის ექსპერტ-კონსულტანტი
სსიპ „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი“

მასტერკლასი ქართულ ენაში

მასწავლებლის მომზადების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის უპირველესი მიზანი ურთიერთთანამშრომლობის გზით მასწავლებლის პროფესიული განვითარებაა.
სწორედ ამიტომ განისაზღვრა წამყვანი მასწავლებლებისთვის სავალდებულო აქტივობად სამოდელო გაკვეთილების ჩატარება.
სქემის მიხედვით დადგენილია სამოდელო გაკვეთილის ტიპებიც.
ეს არის:
1. ინტეგრირებული გაკვეთილი;
2. პრობლემაზე ორიენტირებული გაკვეთილი;
3. გამჭოლი კომპეტენციების განვითარებაზე ორიენტირებული გაკვეთილი;
4. ინოვაციური გაკვეთილი.

ვითვალისწინებთ რა მასწავლებელთა დიდ ინტერესს სამოდელო გაკვეთილების ჩატარების მეთოდურ საკითხებთან დაკავშირებით, გთავაზობთ 4-საათიანი ე.წ. „მასტერკლასი“, რომელზედაც მასწავლებლებს წარმოვუდგენთ ორი ტიპის სამოდელო გაკვეთილს: პრობლემაზე ორიენტირებულს და ინოვაციურს. შემდეგ შეხვედრაზე კი (თუ თქვენი სურვილი იქნება) - ინტეგრირებულსა და გამჭოლი კომპეტენციების განვითარებაზე ორიენტირებულს.

ეს იქნება სამოდელო გაკვეთილის იმიტირება, რომლის შემდეგაც მონაწილეები გააანალიზებენ მას ორი პოზიციიდან - მოსწავლეების და მასწავლებლების. პედაგოგებს მიეცემათ რეკომენდაციები სამოდელო გაკვეთილების ჩატარებასთან დაკავშირებით.